ფასი 15 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 3 | კვირა 14 დეკემბერი, 1924 წ. | № 3

ბველს ხვრელიდან ამოიყვანს ჩეკა ფხიზლად მაძებარი.
ბველს ფეხდაფეს დაეწევა ჩეკა სწრაფი ვით მწევარი.

ცუდი ჰქონია ვას დასდევს „ბაიარე“ წინ დაგხდება;
რასაც იზამ „საქმეს კარგსა“, ყველა ზურგზე გადაგხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემცირება და გაწმენდა

მე არ ვიცი ქვეყნად თუ ვინმე მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს თუ რას ნიშნავს: **შემცირება** და **გაწმედა**.

შორეულ წარსულს თავი დავანებოთ და დავიწყოთ ახლოდან.

ათი წლის უკან ბურჟუაზიამ მოსახლეობის შესამცირებლად დაიწყო მსოფლიო ომი, რამაც ჩინებურად (დიახ, ნამდვილ ჩინებურად) ჩაატარა შემცირების კამპანია.

ცხრაას ჩვიდმეტიდან ზოგიერთ ქვეყნებში ხალხმა დაიწყო მეფეების შემცირება.

პირველად ოსტეთმა შეამცირა მეფე, შემდეგ გერმანეთმა, უნგრეთმა და ოსმალეთმა.

სხვა ქვეყნებშიც არის საკმისო მუშაობა და ჩვენ მოწამენი ვიქნებით მრავალ მეფეების შემცირებისა.

მაგრამ მარტო შემცირებას არ შეუძლია ცხოვრების გაჯანსაღება. ეს ყველაზე უწინ მუშებმა შეიგნესეს და ოქტომბრიდან შეუდგენ შემცირების შემდეგ ქვეყნის გაწმედას.

გაწმედა უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე შემცირება. ოთხი წლის განმავლობაში ენერგიული შრომით და ბრძოლით როგორც იქნა გაწმიდეს. რუსეთი. წმედის უკანასკნელი კამპანია დასრულდა ჩვენში 1921 წლის 25 თებერვალს.

ვინც ამ ხნის განმავლობაში ქვეყრში არ იყო და თვალყურს ადევნებდა ცხოვრებას, უსათუოდ ეცოდინება თუ რას ნიშნავს: **შემცირება** დ **გაწმედა**.

ამას რომ თავი დავანებოთ, მაინც უნდა ვიცოდეთ, რადგან ბევრი ჩვენგანი თითონ ყოფილა ამის მსხეკრპლი.

დღეს შემცირება ცხოვრების ყველა დარგში ხდება: სახელმწიფო დაწესებულებებში და ოჯახშიც. ამის დასამტკიცებლად გადავშალოთ რომელიმე დღის ჩვენი გაზეთები, ანდა სასამართლოს ოქმები. და ჩვენ ვნახავთ:

— თავი მოიკლა.
— თავი მოიწამლა.
— თავი დიხრჩო.
— მოჰკლა.
— დაახრჩო.
— ცოლი გაუშვა.
— ქმარი გაგდო.
— იპოვეს ახლად შობილი ბავშვი.
— მტკვარში ნახეს დამხრჩვალი ბავშვი.
— გაქურდეს.
— მოიპარეს.
— გაიტაცეს

და კიდევ რამდენია ასეთი შემთხვევები.

ბევრს ჰგონია, რომ ქვეყანა იღუპება. — ოუ რაიმე საშვალება არ იქნა ასეთ მოვლენების წინააღმდეგ მიღებული.

აქ სა ეშარი არაფერი არ არის. აქ ხდება: **შემცირება** და **გაწმედა**.

თავის მოკვლა, დახრჩობა, მოწამვლა და საზოგადოთ სიკვდილი არის სიცოცხლის შემცირება. ზოგი კაკიანი თვითონ უშვება თავის სიცოცხლეს შემცირებას; ზოგს სხვა უმცირებს.

ქმარი ცოლს გაეყარა, ანდა ცოლმა ქმარი გაჯგდო; ეს არის ოჯახში, ასე ვსთქვათ, შტატის შემცირება, ანდა ერთ ერთის შტატის გარეშე დარჩენა ამ ოჯახში. ცხადია „ოჯახის" ნამდვილი შემადგენლობას არაფერი აკლდება, რადგან ქმარ და ცოლ გაყრილნი ისევ ახდენენ შტატის შევსებას და ხშირად ერთის მაგივრად სამ-ოთხს ჰმატებენ ოჯახს საყვარლების სახით.

ხშირია ისეთი მოვლენაც, როცა ცოლ-ქმარი ერთმანეთს მალულად სტოვებენ შტატს გარეშე. მაგრამ ეს ჩვენ არ გვაინტერესებს ეხლა.

რომ დრამად ჩაუკვირდეთ ქურდობას, გაკარცვას და მოპარვას, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ შემთხვევაში ტარდება როგორც **შემცირება** ისე **გაწმედა**

ამისათვის როგორც ცენტრში, ისე ყველგან არსებობს ქურდ-ბაცაცთა საგანგებო ამანაგობა, რომელიც ამ ბოლო დროს მეტად ნაყოფიერად აწარმოებს მუშაობას: მცხოვრებლებს უმცირებენ და უწმედენ ოჯ ხს.

მილიციას ევალება ხელი არ შეუშალოს ხსენებულ ამხანაგობას, რომ სასურველად დასრულდეს მცხოვრებთა ოჯახის შემცირება და გაწმედა. ამ მხრივ მილიციის ვერ ვეტყვით დიდ მადლობას, თუმცა არც დიდი საყვედურის ღირსია.

უნდა ითქვას, რომ შემცირებასა და გაწმედას შორის არის განსხვავება.

დღემდინ ჩვენში ხდებოდა უმთავრესად **შემცირება**, ხოლო ამ ბოლო დროს მიჰყვეს ხელი **გაწმედას**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. ან. დოლიძე რკინის ცოცხით შეუდგა ჩვენი დაწესებულებების გაწმენდას. მართალია, ამისათვის იგი საყვედურის ღირსია ყველა ცხვრის ქურქში გახვეულ მგლებისაგან, მაგრამ გაწმენდისათვის ტარტაროზი დიდ მადლობას უცხადებს და, ცხადია, როცა ტარტაროზი სწყალობს — „წმინდანები“ ვერაფერს დაკლებენ.

შემცირება და გაწმენდა მარტო ტფილისში არ ხდება. მართალია სხვა ქალაქებში და დაბებში ჯერ კიდევ ასე მკაცრად არ ტარდება, მაგრამ ამხ. ან. დოლიძე როცა ტფილისს მორჩება, იქითკენაც გაეშურება თავისი რკინის ცოცხით.

შემკირების და გაწმენდის მნიშვნელობა ყველა მოქალაქეს შეგნებული აქვს. ასე მაგალითად, ჩვენი აგენტი (პ. **ობოლი**) ბათუმიდან შემდეგს იტყობინება:

— „ჩვენმა მეზობელმა ივანემ შემკირება მოახდინა და შტატს გარეშე დასტოვა თავისი ცოლი კესარია“. „დათიკო ერთი ძუძუმწოვარა ბავშვით დაკმაყოფილდა და მეორე ჩვრებში გახვეული ჩაუგდო გიგია თავდიშვილს“. „მეეტლე გიგუამ შემცირება უყო ეტლის თვლებს და ეტლს სამი თვლებით ატარებს“. „ადგილობრივმა მიკიტნებმა მოახდინეს თეფშების შემცირება, რის გამო პირველს და მეორე კერძს ერთს და იმავე თეფშზე ასხმენ“.

ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ ერთ პიროვნებას (ჯერჯერობით არ ვასახელებთ) თავისი ოჯახის შემცირების ასეთი გეგმა ჰქონებია შემუშავებული:

„ცოლის შტატის გარეშე დატოვება, მის მაგივრად სამი საყვარლის აყვანა. მოზრდილი ქალის მიკიტნისთვის მითხოვება, პატარა შვილის ქუჩაში გაშვება, მოხუცი მამის, როგორც „ძველი“ კაცის სიკვდილით დასჯა, დედის განთავისუფლება თავის მზრუნველობისაგან“.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ **შემცირება** და **გაწმედა** ყველასათვის სასარგებლოა, მაგრამ არის ჩვენში კიდევ ისეთი ხალხი, რომელსაც დღემდინ ვერ შეუჭრია ეს ანბანური ჭეშმარიტება.

ეს ხალხი გახლავთ მუშკორები და საზოგადოთ ყველა კორესპონდენტები. წერილის და აზრის შემცირება და გაწმედა ვერ გაუგიათ. მართალია ტარტაროზი ახდენს შემცირებას და გაწმიდას მათ მიერ გამოგზავნილ წერილებისა, მაგრამ შემცირების და გაწმედის შემდეგ არც ერთი სიტყვა აღარ რჩება ქალაქზე და აქეთ-ქალაქზე ამგზავრებს.

ტარტაროზმა გადასწყვიტა მოახდინოს კორესპონდენტების შემცირება და გაწმედა, რასაც აცხადებს მათ საყურადღებოთ.

კოლანა.

ძველმოძმედი.

I.

ცხოვრობდა კაცი ერთი,—
სავლე სახელი მისი,—
ერთგვარად აწუხებდა
დარდი თვისიც და სხვისიც.
როცა ჯიბეში ცოტა
გაუჩნდებოდა ფული,
არ ასვენებდა მრავალ
საყვედურებით გული.
ეუბნებოდა:—სავლე,
რათა ხარ ძუნწი ასე?..
როცა მდიდარი გახდი,
ფულით გაქვს ჯიბე სავსე,
მოყვასისადმი გრძნობა
რად უნდა გქონდეს მტრული;
ვინ იცის, რამდენია
დღეს ხმელ პურს მონატრული.
აი, თუნდ, გახსოვს კარგად,
საქეო მიკიტანი...
შეხე, ჩამოდნა როგორ
იმისი მსხვილი ტანი...
მუშტრები ძველს-ძველი
ერთ დღეს გაექცა ყველა,
დღეს უნდა, ძმაო სავლე,
შენს მხრიდან იმას შველა...
არ გახსოვს, მეგობრებში
ერთხელ რა რიგად გაქო,
და ამის ნაცვლად ეხლა
გსურს დაივიწყო საქო?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მართლაც სავლე მუდამ
საქოსთან იყო ფიქრით,
და სიბრალულით სავსე
ხშირად გარბოდა იქით.
აიკიდებდა კიდევ
ნაცნობთ, შეხვედრილ გზაზე
და დაღონებულს საქოს
მიადგებოდა კრაზე.
ეტყოდა; — საქო...საქო!..
ნუ ნაღვლობ, იყავ მაგრათ!..
ვინ გაგიმეტა, ნეტავ.
ჩემი ძმა დასაჩაგრათ!..
პასუხად დაწყვლიდა
საქო წრეევანდელ წელსა,



და შემდეგ სავლეს ფულებს
მსწრაფლ აუგებდა წესსა.

II.

ბარბაცით, მღერი-მღერით
მოდის ქუჩაზე სავლე..
თვალწინ სახლები, ქვები
ხან ავლენ, და ხან ჩავლენ.
უაზრო სიხარულით
სავსეა გული, თავი;
დღეს ბატკანთ ეჩვენება
გუშინ მგელივით ავი.
ქვაფენილს, კედლებს, ბოძებს
დიდხანს უკქერის ბრძნულად...
სურს გამომვლელი ყველა
გულში ჩაიკრას ძმურად.
რა რიგად გამოცვლილა,
ფიქრობს, სოფელი ესე,
დრო მქონდეს, შევიდოდი
მე პარტიაში დღესვე...

თვალწინ სახლები ისევ
ხან ავლენ, და ხან ჩავლენ;
თითქოს ზღვა არის ქუჩა
და ნავი კიდევ სავლე.
ბოლოს ერთს ადგილს დადგა
და ფეხებს აღარ იცვლის.
დაიბნა... ეხლა საით
წავიდეს აღარ იცის.
უცბად ტრამვაის ვაგონს
შეასწრო ახლოს თვალი,
და გაექანა მისკენ
ბარბაცით სავლე მთვრალი.
წესებთ წინაშე, ფიქრობს,
პასუხი მხდლებმა აგონ,
და უკვე გაქანებულს
შეახტა იგი ვაგონს.
მაგრამ სჩანს ჩვენი გმირი
მოახტა ვაგონს ცუდათ,
რომ წამსვე საფეხურზე
ფეხები დაუცურდა.
და შემდეგ რაც რამ მოხდა,
ეს სავლეს ახსოვს ბუნდათ...



მგონი ექვსჯერ თუ შვიდჯერ
ყრაზე გადაბრუნდა.
და სანამ დანაშავებს
გაისწორებდა კისერს
და შეყენებულს ვაგონს
მივარდებოდა ისევ,
გაბრაზებული ვილაც
ეძგერა კაცი ხვნეშით.
ათშაურს მოითხოვდა
და ჩეკს უჩრიდა ხელში...
მაგრამ სად ნახეთ, კანონს
აეფრთხოდეს ჩვენი კაცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიქნა სტვენა... გაჩნდა
სიწყნარის მცველი მკაცრი.
და წაათრიეს სწრაფად
მილიციისკენ სავლე...
თვალწინ სახლები, ქვები
ხან ავლენ, და ხან ჩავლენ...

III.

შორს მთებზე გულსაკლავი
კივილი ქონდათ ტურებს,
როდესაც ჩვენი გმირი
შინისკენ გაისტუმრეს.
თან მოძახეს:—წადი,
და ვაი შენი ბრალი,

თუ ხვალე ადრიანად
არ მოიტანე ვალი!..
თითქმის ფხიზელი, ეხლა
სავლე შინისკენ მიდის.
ფიქრობს, სანაცვლოდ ვალის
ხვალ დილით რას გაყიდის.
ხშირ-ხშირად დაშვებულს
იზილავს გვერდზე ალაგს;
ამბობს, მანეთი ხუთი
შევწირე მე დღეს ქალაქს...

იქ კიდევ საწყალ საქოს
შევძინე პურის ლუკმა...
საერთოდ ამ დღეს ჩემთვის
არ ჩაუვლია უქმად...
რას იზამ... კაცთა შორის
უნდა სუფევდეს ძმობა...
ბუდდება სავლეს გულში
კმაყოფილების გრძნობა...
სული ცაშია თითქოს...
შორს ყოველივე დარდი!,.
უეცრად შეეჩეხა
ვილაცას შავი ლანდი.
ღამეა... ბნელა ისე,
როგორც ვირთხების ხვრელში...
წინ დგას ვილაცა კაცი
ბასრი ბებუთით ხელში...
ნუ დაიქადნით ტყვილა
რულეტკავ, ლოტოვ, კარტო!..
ჩვენს სავლეს გაშტერებულს
საცვლები შერჩა მარტო...
ესენი, უთხრა ლანდმა
და ნაზათ წაკრა ყბაში,
ჩემს მოსაგონრად გეცვას,
ატარე მშვიდობაში...
ცოტა ხნის შემდეგ, სავლე
გაუდგა ისევ გზასა;
აკანკალებდა ღამე
საცვალთ ამარა მგზავრსა...
სადღაც ღმუოდა ძაღლი...
შავ ცას არ უჩნდა კიდე...
ნეტავი სავლე საქოს
მოინახულებს კიდევ?..

სინემატო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა

(ჩდაბეჭდილება მიღებული ჩვენი აგენტის მიერ)

ციდან ისმოდა ჰაეროპლანის ხმაური.

ყველამ თავი წამოჰყო და გამომზეურდა.

— ეს არის კერზონის მიერ გამოსროლილი ყუმბარა, რომელმაც საბჭოთა რესპუბლიკები უნდა გაანადგუროს.

— გვეღირსა, გვეღირსა — ჩურჩულობდენ აქა-იქ.

— ჭეშმარიტად, ციდან ღმერთი მოდის ჩვენს დასახსნელად... გვეღირსა, გვეღირსა.. — ცუნცრუკობდენ და ჩუმად ერთმანეთში მასლაათობდენ „წმინდანები". მუშები დროშებით გამოსულიყვნენ.

— კი მარაამათ რა უნდათ აქ?.. ვაი, იმათ ბრალი; რატომ მიწას არ იხეთქენ და არ ჩაცვივიან შიგ — უკვირდა ღვდელს.

— ალბად ამიტომ მოვიდენ, რომ ღმერთს პატიება სთხოვონ, მარა ღმერთს ღმერთი ისე როგორ გაუწყრება, რომ ესენი შეიბრალოს. განა მაგათ არ დაეაქციეს მთელი ქვეყანა.

— ვაი — ეს რა არის?!

ყველამ შეიძახა, როცა გამოჩნდა ჰაეროპლანი, რომელშიც ღმერთის და ყუმბარის ნაცვლათ მუშების დელეგაცია აღმოჩნდა.

— ჰოო, ამიტომ მოსულან ეს ქვეყნის დამღუპველები უშველოთ თავს —

და ყველა გაიქცა თავიანთ სოროებში.

ყ—ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინეთი და იმპერიალისტები.

შარადა

წმინდა გიორგიმ რომ მოჰკლა
თავისი მძლავრი ლახვრითა
(ბებიამ მელაპარაკა,
თუმც არ უნახავს ნახვითა),

მის სახელს დასაწყისიდან
მოსწყვიტეთ ასო ხუთია
და ერთი შორს გადააგდეთ,
არ გვინდა მისი კუდია.

შემდეგ მონახეთ საგანი
მახვილი, მჭრელი თივისა,
(ხისა ტარი აქვს მას გრძელი,
გვინდა სახელი იმისა).

მას მოაშორეთ თავიდან
ასო პირველი ჩქარადა.
ხუთ ასოს სამი უმატეთ
და მზად გექნებათ შარადა.

მივიღეთ გმირი, რომელიც
მიზანი არის შარადის.
გმირი, რომელიც მტრად გვყავდა
აქაც და იქაც მარადის.

მოძმეებ—მამულიშვილებს
თავს დასცა გლოვის ზარია.
იგი ამღერდა სხვა ჰანგზე
და აქეთ მოუხარია.

ბოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი და ეგვიპტე.



მშვიდობიანობის მოყვარულ ინგლისის მშვიდობიანი პოლიტიკა მშვიდობიანობის დასამყარებლად ეგვიპტეში.

რკინის ცოცხი

ტარტაროზო მეუფევ,
ერთხელ კიდევ გვნახეო!
ჯოჯოხეთში სამგზავრო
ხალხი მოგინახეო.

ჩვენს ბათომელ ჩიქოვანს
გზა ვერ გაუგნიაო.
ქართულ დავთარს რუსულით
კვალი აუბნიაო.
რევიზორი ფიდერმან
ქალით დამიდნიაო
და მით კუპე-ვაგონი
სრაზუმ მიყიდნიაო.
ადგილკომში მდივნობდა
ნიკოლოზი ჯიქია,
სხვისი ფულის გაფლანგვა,
რა ვქნა, ალარ მიქია.
როცა გინდა ფულები
მიდი კოლა ნახეო.
ფულს გიშოვის, ოღონდაც
ბლომად ატრაბახეო.
სადგურ ქვალონს აჩა აქვს
კულტურული რამეო.
თამაშობენ კარტს და ნარდს
ყოველ დღე და ღამეო.
ჭყიდიან და აგებენ
დღე ადგებათ მწარეო,
მთ ცოლშვილს კი ცრემლები
სცვივა ცხარე-ცხარეო.

ბერიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურული სცენა.

კილავ, რაც ჩემ თავს მივესარი, ამისანა საქმეს არ შევწრივარ!

ერთ ხანს იყო და ეშმაკის მთირახი უწყვადუნებდა ერთ და მეორეს: თუმცა სულოცოდვილო ამ ჩვენ ხუცებს და ვაჭრებს არც ქე მოხთენია ხერირიანათ იმის კუდი; მერე იყო და გამოუშვეს რაცხა ლიანგიანა; ილიანგა იმ ლიანგმა ერთხანა და მერე ქე ჩეიკმინდა ენა.

ერთ დღეს გეკიხედე და ჩემმა ბიჭმა შალიკელამ მეიტანა გაზეთი... მუშას რომ უძახიენ. გადავშალე, გადმოვშალე, ენახე ერთ ადგილას დუუხატავენ რაცხა უშველებელი ჯაგარიანი კაცი.

ქვეშ ეწერა: ამ პაწა ხანში გამუა ტანტაროზიო!

— ფუი ეშმაკს! ვიფიქრე, ტანტროზი და კუდიანი რა ეშმაკათ მინდა, რაცხა კაი თუ გამუა თვარა, ტანტაროზი თუ გამოშპა, კას საქმეს მაინც არ იზამს მეთქი.

•

გეიარა დროი, შენ ხარ ჩემი ბატონი და შალიკელამ კიდომ ქე მეიტანა იგი გაზეთი. მარა გაზეთს იგი რაცხა ტანტაროზია, იგიც მოყვა.

რაცხა იღბლად, ყანა-ბახჩა ქე შევათაბვხელე, შეშაც მაქ ზაპასანთ, აი დიდრუანი ღამეები ქია; დავანთე ცეხლი, ავანთე სანაფთიე, მუუყენდით მე და ჩემი დესპინე ფუხარს და დეკიწყეთ ტანტაროზის კითხვა. დეკიწყეთ, მარა რა დეკიწყეთ; ერთი ორი პწკარი კი წეკიკითხეთ თვარა-უუტყდა დესპინეს სიცილი; უუტყდა მარა რაფერ! ავყეკი იმას მეც, მივსდექით და იმდენი ვიცინეთ, იმდენი ვიცინეთ, რომ მგონია ტყლიპი ჩაგვექცა.

დედავ, რა ნახა თვალმა და რა გეიგონა ყურმა; რავა დაკპინა ამ ტანტაროზმა ყოლიკაცი; მაგის შიშით მგონია ვერც ერთი ვაჭარი, ღვდელი და ვერც ერთი მეშევნიკი ვეღარ გაბედავს ხმის ამოღებას.

აბა, შენ იცი, ჩემო ტანტაროზავ! უკბინე და უპწკინე ყველას, ვინც არ მოგეწონოს, მარა თუ ძმა ხარ, ხან და ხან უკმაკურ მილინციეს უმფროსებს და თემების თავმჯდომარეებსაც ნუ მოაკლეფ მოწყალებას; შენ გენაცვალე, იგიც დამიწერე მაქანაი, გაზეთებში რომე სწერია ექიმის ალაგი უნდა გავაკეთოთ სოფლებშიო, ბარელამ მალე მუაწყონ და პაწაპაწა წამლები გამოგვიგზანონ, თვარა ჩემი დესპინაი ქე მომიკვტება ციებით და მერე შენ ხომ ვერ შეგაწუხებ ქალის გამოშობაულებიზა.

მეც ქე მინდოდა შენდა რამე გამოგზანა, მარა არ მაქ იმდენი გამოცდილობა და, სულოცოდვილო, ბიჭმა ქახალდიც არ მომცა. აი რვეული კლაში მოგვცეს და ვერ ამოვხეე შითო.

ისე ჩენ ქე ვართ გვარიანით, მარა გაზეთების კანტორა თუ ნახო რამე უთხარი. გაზეთები ხერიანათ გამოგვიგზანოს, თვარა ჩენ სამკითხველოში რომ შეხვიდე, ახლა ქრიშობისთვეა და გიორგობისთვის გაზეთები თუ ნახე-იმიზაც მადლობელი უნდა იყო!

ისარი-

კურთხევა

(ხალხური ახალი სიმღერა)

ჩვენს ეკზარხოს მოესურვა
ძველებურად ტაბლის ჭამა.
ადგა, ჯვარი გადისახა
და ახსენა ზეცის მამა.
რხეო ღვდლები... უთხრა: ენახოთ
რამე ღონის ძიებაო,
თორემ სიმშილ-წყურვილთა
დაგვემართა ციებაო.
ეკლესიის საკურთხებლად
გვპატიჟობენ სვირშიაო,
კომუნისტებს აღარ სცნობენ,
ყველა იმათ ძვირშიაო

—

ეკლესია აკურთხეს და
თანაც იძღეს მუცლებიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იქედან მხიარულნი
გამობრუნდენ ხუცებიო.
ქუთაისში რომ მოვიდენ
შეეგებათ იმათ ჩეკა;
ნუ იფიქრებთ — გაუკეთეს
ან „ობისკი“ ან და ჩხრეკა.
ტკბილად უთხრეს: კურთხეულნო,
ვეღარ გავძლებთ ჩვენ უდვთოთო
და ამიტომ გევედრებით
ჩეკაც უნდა გვიკურთხოთო.

—

მოუსმინეს, უკან გაჰყვენ
ყველა ჩეკის საკურთხებლად;
აკურთხეს და იგი ბინა
იმათ დარჩათ საკუთრებად.

გელათელი

ჩემი გოდება

მოკვდა იმედი მრავალფრთიანი
მე სიხარულით აზრს რომ მირყევდა.
სოფლის წესებმა მომკეს ზიანი,
ლხინის სანაცვლოდ მეუფლა სევდა.
მეგონა ქვესკნელს დავიუფლებდი,
ქვეყნად მოვფენდი ჩემს ძლიერებას,
ცხოვრებას მტკიცე კვალს გავავლებდი,
დაღს დავაჩენდი ბედნიერებას.
არ მეშინოდა მე გასაჭირთა
და მამაცურად მეჭირა სახე.
მაგონდებოდა საქმენი გმირთა,
მათი მიბაძვა მე განვიძრახე.
ამას ვამბობდი მტკიცედ დღე ყოველ:
გარდავთელავ-თქო გარდაუვალ გზებს...
სოფლის დამგმობი ქალაქში მოველ
— აქ კი სურვილი ცეცხლს უფრო მიგ-
რძნებს.
არც ტინსაცმელი, არც ჰურის ფული
და არც თუთუნი წყეული ჯიბეში. 1)
გავსცქერი ქალაქს გულ დადღეული
და ხმა ამოდის ამონახვნეში.
მინდა თუთუნი რომ გავაბოლო,
მაგრამ რომ არ მაქვს მე იგი პირში?!
ო, ჩემსა ტანჯვას არ უჩანს ბოლო,
სული ამხდება ამ გასაჭირში.
მტკრიან ოთახში ჩვენა ვართ სამი,
სხვაც ჩემებრ არის ბედგანამწყარალი.
გვაქვს დარყეული ტახტი და სკამი
და ერთი ლამფა გულ ამომშრალი!
გავყურებ სოფელს... გულს აძევს ლოდი,
რადგან საშველად არავინ მოდის
და ვსტირი ჩუმად გულ დანაკოდი:
ეჰხ! საწყალ სტუდენტს ეშველოს როდის.
რავქნა არ ვიცი, მუდამ ვყოყმანობ,
ვიცი გავხდები ასაბარგები,
მოვკვდები, მაგრამ სიკვდილს არ ვნანობ
ხორცად თუ ვინმეს გამოვადგები.

ლარიბი.

1) იქნებ თქვენი ჯიბე დახეულია და ამიტომ არ იცდის შიგ ფული და თამბაქო. ნახეთ კარგად. ტ ა რ ტ ა რ ო ზ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენება

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ სიკოლმასხანის—ძე თაქარიანიძის შესახებ სტუდენტთა სასადილოში მის მიერ მომხდარ დავიდარაბაზე.

ათი წლის სტუდენტი ვარ. წელს მინდა ჩავბარო ერთი საგანი. შაბათს, ცამეტ აგვისტოს ლექცია არ მომისმენია, რადგან სანადირიოდ ვიყავი წასული, რომ სადმე ჩაის შევსწრებოდი და სადილის ფული მეშოვნა

თორმეტ საათზე ჩვენს სასადილოში რიგი დავიკავე სადილის ჩეკის ასაღებად. ქუდი სკამზე დავტოვე. (ეს ნიშანია, რომ სკამი დაკავებულია).

რიგში პური შემომეპარა (ეს ჩვეულებრივი მოვლენაა) სადილის საყიდლად დამაკლდა მხოლოდ ცხრა კაპეიკი (ეს კი იშვიათი მოვლენაა, რადგან ცხრა კაპეიკიც არა მაქვს არასოდეს).

ოთხის ნახევარზე ჩეკი ავიღე. ჩემდა საუბედუროდ ჩეკი საშას გადავეცი. როცა დავბრუნდი სკაჟი არ დამხვდა, ხოლო ქუდი იატაკზე ეგდო. სკამის წამლებთან მომივიდა ჩხუბი. ვიმსხვერპლე ორი სკამი, მაგიდის სამი ფეხი, ოთხი თეფში და ½ დაზიანდა ხუთი სტუდენტის თავი.

მოზავე არავინ აღმოჩნდა, ვინაიდან ყველას ასქმე ჰქონდა. ზოგი სადილობდა, ზოგიც ჩეკის და სკამის რიგში იდგა.

ხუთ საათზე საშამ მომიტანა სუპი. შიგ არ იყო სუპი და არც ხორცის ნაჭერი. ობლად სცურავდა ლობიოს ერთი მარცვალი, როგორც შავ ზღვაში პატარა ნავი. კოვზი არ იყო. ჩანგლით მისი დაჭერა შეუძლებელი გახდა. გავიხადე ტუჭურკა და დავაპირე თეფშში დაყვინთვა ლობიოს დასაჭერად, მაგრამ ამ დროს ჩემს მაგიდაზე სკამი დაეცა. ძმა-ბიჭებს ჩხუბი მოსვლოდა ჩემსაკით, მხოლოდ ამათ პურის გაყოფაზე.



თეფში გატყდა და სუპი დაიღვარა. მშიერი დავრჩი. ვერც საღამოს მოვისმინე ლექცია (თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს).

ფული რომ მქონდეს ჩვენს სასადილოში არ ვისადილებ.

მართლაც გენიოსია ჩვენი ერი. ამას ამტკიცებს მისი ანდაზა: „ჭამა ქონებაზე ჰკიდია“.

თუ გავიგე ქონება რაზე ჰკიდია, მაშინ კარგად წავა ჩემი საქმე. დასამატებელი არაფერი მაქვს.

ხლაფორთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუვიდოგიანი კვირა

ტფილისში

მთვრალ შოფერს ამ კვირაში ავტომობილით არავინ გაუსრესია.

სახლის პატრონებს მოხერხებით მდგმურები ქუჩაში არ გამოუყრია.

სასადილო „რაჯა“ს მიკიტნებს სასმელ-საჭმელის ფასების გამო თავიანთ მუშტრებს არ წაჩხუბებიან

იარმუკის ჯიბგირებს და ქურდ-ბაცაცებს მოქალაქენი არ გაუძარცვავთ.

მუშკორებისათვის არავის უცემია.

სახლებში მოქეიფე ლოთებს მეზობლები არ შეუწუხებია.

ცოლ-ქმარნი არსად გაყრილან

კომუნისტების წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონური განგაში და ცილის წამებები არსად მოეხდარა.

თეატრებში და ტრამვაიზე წესიერება არავის დაურღვევია.

ვექილებს ცუდი არაფერი მოუხდენიათ...

აფთიაქრებს აღარავინ მოუწამლიათ.

ვნახოთ შემდეგი კვირეები თუ როგორი იქნება.

„დ“

ყურმოკრული

— გეურქ, იცი რა გითხრა?.. დღეს ისეთი დრო არის, რომა თუ პარტიაში არა ხარ, ძნელია ცხოვრება. მოდი და ჩვენც ჩავეწეროთ პარტიაში.

— ვა, გიჟი ხარ?.. რა ჩვენი საქმეა კომუნისტობა.

— ვა, შე ოხერო შენა, თუ კი მაშენიკურ პარტიაში მიგვიღეს, რატომ არ მიგვიღებენ ბოლშენიკები.

— შე ვირისთავო შენა, განა მეშენიკური და ბოლშენიკური პარტია ერთია? მეშენიკურ პარტიაში შესავალი კარები იმოდენა იყო რომა, შენი ღიპი არხეინად შეეიდოდა. გამოსვლა კი აღარ შეგეძლო.

ბოლშენიკების პარტიაში კი, შესავალი კარები ისე პატარა არის, რომა თავგვის საძრომელასა ჰგავს... შენი ღიპი შიგ ვერ შეეა... მაგრამა გამოსავალი იმოდენა არის, რომა არხეინად გამოგორდები... შიგ რომ შეხვიდე, აი ეგ ღიპი უნდა მოიკრა.

— არა ძმაო, არ მინდა, ჩემთვის ვეგდები. მე ამ ღიპისათვის მინდა ყველაფერი... წამოდი საქოსთან გადავკრათ.

ეკალ-ვარდი.

ტარტაროზის მისვლა ზოგრაპანში

კვირა დღე იყო. ტფილისიდან მატარებელს ტარტაროზი ჩამოჰყვა. მან ყველას ყურადღება მიიპყრო. ღვდლებმა, თავადებმა, ადგილობრივ ჩარჩებმა, მიკიტნებმა და ამათ მგზავრებმა მოაწყვეს სასწრაფო კრება.

მე როგორც ტარტაროზის ადგილობრივი აგენტი თვალყურს ვადევნებდი ამ კრებას.

ყველაზე უფრო შიში ჩარჩს ეტყობოდა და მოუსვენრად გაიძახოდა:

— ვაი, ვადაი... მაი ბანჯგვლიახი თუ იქნა აქა ვიღა წამიყვანს უბილეთოთ საჩხერეში?.. ვაი... ვაი... ეს რა უბედურება მოვიდა აქაა...—

ღვდელი პირჯვარს იწერდა და ლოცულობდა:

ღმერთო შეგვეწიე და დაგვიფარე. იმბრე ჩვენი ოთხი წლის წამება. დაიხსენ საკრისტიანო საქართველო ტარტაროზისაგან...

გადასწყვიტეს ტარტაროზის შეპყრობა. წილი ჰყარეს და ჩარჩს ერგო.

— ვაი, რას მელაპარიკებით თქვენეეე!?. ვერ დაინახეთ რამოდენა ჩანგალი ეჭირაა?.. ქი არ წამომაგებს ზედეე?..

ამ დროს ტარტაროზი სადგურიდან გამოვიდა. კრებას შეეშინდა და ყველა გაიპარა... ჩარჩი სადღაც იქვე მიიმალა.

მუშებმა დაინახეს ტარტაროზი, აღტაცებული მივარდენ მასთან, ხელში აიყვანეს და „ვაშა“-ს ძახილით ქარხნებში წაიყვანეს.

დაწვრილებით ცნობებს მოგაწვდით შემდეგ.

წყეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწერილი ამბები

—ქუთაისი:

დრამატიული წრის მეორე კონფერენცია ჩატარდა აყალმაყალით და 2-3 წევრის კბილების ჩალეწით.

ახლად ამორჩეულმა დრამწრის ადგილკომმა გამოიმუშავა წესდება, რომლის ძალით გადიდებულია ნორმა მაჭრით წონასწორობისა.., რეჟისორის თანაშემწის პოსტის დაკავების ორომტრიალი ჯერ არ გათავებულა სცენით მოყვარეთა შორის...

აქაურმა მიკიტნებმა დაადგინეს:

სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ წითელ სასადილოს გახსნას, რის გამო მეტად გაიიფეს მაგარი სასმელები.

იქიდანვე:

აქაურ ქალიშვილთა მოარშიყე ორგანიზაციის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ 348 ხმით წინააღმდეგ 17, ამორჩიეს ამხ. კოსტაიდი...

რიონი:

„ზაკტპოს“ გახსნამ კინაღამ თვითმკვლელობა მოახდინა ნიკიფორე ბერაძეზე... მიღებულია ზომები მის თავდასაცავად...

მუხიანი:

ვინაიდან აქაური სამკითხველო მშვენივრად დალპა და მის კეთილ გამშვენიერებაზე ეს ორი წელია არავინ ფიქრობს, ადგილობრივმა მოვაჭრეებმა გადასწყვიტეს ლიკვიდაცია უყონ ცარიელ შენობას..

სამტრედია.

სადგურის ბაქანზე მოსეირნე მოსწავლე. ახალა გაზრდობას ხელს უშლიან მგზავრები. საქირორკ. გზის ადმინისტრაციამ გასცეს განკარგულება, რათა მგზავრები მატარებლებიდან არ გადმოვიდენ.

ვინაიდან პარასკევობით სამტრედიაში მოდიან კაჭრები და სადამოებით მათ უხდებათ საბარგო მატარებლებით უკან დაბრუნება (რაც შეურაცხყოფაა მათთვის), ამიტომ საჭიროა დაინიშნოს განსაკუთრებული მატარებელი, რომ აცილებულ იქნეს კისერტეხა მატარებლიდან გადმოხტომის დროს

მუშათა კლუბში, სადაც ადგილობრივი სცენის მოყვარენი და მუსიკის დამკვრელნი თავიანთი კეთილ-ნაცნობებით ვერ ეტევიან, მუშა მოსამსახურეებს ეკრძალებად შესვლა. ნაყიდი ბილეთებით მათ შეუძლიან უკან გაბრუნება და თავიანთ სახლში შესვლა.

სადგურის დარბაზი გადაკეთებულია საბარგო განყოფილებად დადასაძინებელ სახლად. მოსვენება და ძილი შეიძლება მაგიდებზე

სამკითხველოში შესვლა თანახმად სამკითხველოს მეთვალყურექალის სურვილისა ეკრძალება ყველა მუშა მოსამსახურეს, რომელსაც უფულობის გამო კალოშები არ აცვია ფეხებზე.

ნიგვზიანი (გურია)

ნიგვზიან-ჯიურუყვეთის გლეხკომს განაგებს შტატს გარეშე დარჩენილ ვაჭართა ერთი ჯგუფი. საზოგადოება კმაყოფილია მათი ნაყოფიერი მუშაობით და დარწმუნებულია, რომ მათ შორის ღირიბ გლეხობის სასარგებლოდ არ ექნება არავითარი უთანხმოების ადგილი, მით უმეტეს რომ ხსენებული პირები ერთმანეთის ნათესავები არიან.

— სადგურის უფროსმა ჭყონიამ სადგურში სისუფთავის დაცვის მიზნით დაპატიმრა ფილიპე ტუღუშის ერთადერთი თხა და გაყიდა. გამოირკვა რომ გაყიდვა მომხდარა გაუგებრობაზე; მას ჰგონია, რომ თხა იყო მისი, რადგან ტუღუშის თხა მეტად ჰგავდა ჭყონიას თხას.

— ვინაიდან ჩვენს ეპოში დამპალი თევზი უკვე გათავდა და აფთიაქებში საფაღარათო ზეთის მოთხოვნილება შემცირდა, ამიტომ გაბრაზებულმა გ. ხუნდაძემ ეპოში სამსახურს დაეთხოვა.

— ვინაიდან ჩვენს ეპოში გამგეობა მემკვიდრეობითი და კაბინეტიდან მათი გადადგომა შეუძლებელია, ამიტომ გამგეობა ღრმა მწუხარებასგამოსთქვამს რომ არც ერთ მათგანს შვილი არა ჰყავთ და მემკვიდრეობა ისპობა.

— ლოტბარმა გრიშა ხუნდაძემ სამუდამოდ გარიცხა მომღერალთა გუნდიდან გ. ლაღიძე რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელმაც ბანი ვერ უთხრა სოლოზე; ხოლო ნიკიფო და ბიკტორი დასტოვა, როგორც კარგი გამყინვანები. კონცერტები იმართება დღის ორ საათიდან სამიკტნოებში, კასიანეს ბუტკაში და ნიგვზიანის პროსპექტზე.

— მიკიტნების კავშირი შეიერთა გლეხკომის სასადილომ. პირველ ყოვლისა კავშირი შეუდგა თაკისი ღვინის გასაღებას.

ხუშტური.

ახალ-სენაკი.

გამოირკვა, რომ ელექტრონის სინათლე მეტად შავნებელი ყოფილა თვალებისათვის, ამიტომ ელექტრონის განათების მაგივრად შემოიღეს უნავთო ლამფებით განათება.

ბ.



ცაგერი

დამთავრდა ადგილობრივ ვაჭრების, მიკიტნების და სპეკულიანტების კონფერენცია.

პირველი მოხსენება გაკეთა გაბერილმა გენოზიმ, რომელმაც განაცხადა, რომ ცაგერის „ეპო“ს მიერ გახსნილია წითელი სასადილო, სადაც ყველა მოსამსახურეები და გლეხები სადილობენ; ეს კიდევ ვეს ჩვენს გაკოტრებას და მცხოვრებლებში ჩვენი სახლის დაკვმას. ამისათვის საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა მივიღოთ ზომები.

ამ საკითხის შესახებ ლიპიან ბეგლარმა შემოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: კონფერენცია სცნობს მიზან შეწონილად ჩვენს გაერთიანებას, რომ შევძლოთ მუშა—მოსამსახურეებისათვის ტყავის გაძროობა ჩვენი ჯიბეების სასარგებლოდ.

რეზოლიუცია ერთ ხმით იქნა მიღებული. პროგრამისა და ზესდების შემუშავება მიენდო ბენოზის და ბეგლარის.

თეატრის მდგომარეობის შესახებ ლიპიანი ბეგლარი აღნიშნავს შემდეგს: ჩვენ მივიღეთ ცნობა, თითქოს მთავრობას (რასაკვირველია ცაგერის) განუზრახავს თეატრის შეკეთება. ეს გარემობა მეტად დამაფიქრებელია, მართლაც ჩვენი მთავრობა არც ისე უთავბოლოდ დახარჯავს სახელმწიფო თანხებს, მაგრამ მისაღლოდნელია შეცდეს და თეატრი მართლა შეაკეთოს, რაც ჩვენთვის არა სასარგებლოა. თუ თეატრი შეკეთებულ იქნა საზოგადოებას მიიზიდავს, ცოლი და შვილები შეგვაწუხებენ ბილეთების ყიდვისათვის, რაც ჯიბეზე ცუდ გავლენას ახდენს.

ამისათვის ეთხოვოს მთავრობას თეატრი არ შეაკეთოს. თუ ვინმე სიცივისაგან ან და სხვა რაიმე უბედურ შემთხვევის გამო წარმოდგენის დროს მოკვდება, დასაფლავების ხარჯებს კისრულობს ჩვენი კონფერენცია.

რაკ—რაკო.

წ. ზ. მთავრობამ დაკმაყოფილა კონფერენციის მოთხოვნილება და თეატრის შეკეთებაზე ხელი აიღო, თუმცა მაინც აღებული ჰქონდა

რ—კ.

გაფრთხილება

დღეს ჩვენს კორესპოდენტებს ჩვენი ფოსტით არ უპასუხებთ, რადგან მათი ფოსტაში მოთავსება შეუძლებელია სიმრავლის გამო.

ავტორებს, რომლების წერილი არ არის მოთავსებული, შეუძლიათ თავისი წერილი ეძიონ ეგრედ წოდებულ უფსკერო გოდორში.

დაკარგულ წერილებზე ტარტაროზი არ არის პასუხისმგებელი, რადგან **საჭიროებისათვის** შემოეხარჯებოდა.

ტარტაროზი მეტად გაბრაზებულია ავტორებზე. წერილების გარჩევის დროს ასე გაიძახის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძველი ამბავი—
— გაგიხმეს თაკი —
— სიტყვები მშრალი—
— დაგიდგეს თვალი—
— არ იცის წერა—
— დაგექცეს კერა—
— რა მოუჩმახავს
ამ ოჯახქორსა?
კაცი ვერ ნახავს
აქ სიტყვას წორსა—

და წერილებს ერთმანეთზე პირდაპირი და სწრაფი მაშრუტით უფსკერო გოდორისაკენ ვგზავნის.

ტარტაროზის ბრძანებით ვაბრთხილებთ ყველას სასტიკად დაიცვან მართლწერა და სიცილი; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ მიღებული იქნება ტარტაროზის მიერ სასტიკზე უსასტიკესი ზომები.

ტარტაროზის პირადი

მდივანი: **ჭინჭარი**

უმაღლეს სატარტაროზო საბჭოს საჯოჯოხეთო გაერთიანება.

„ტარტაროსტრესტი“

ცენტრალური სამრეწველო და საგითუმო საწყობები

ტფილისი,
ტარტაროზის გამსირი,
№ 10000

განყოფილებანი და სააგენტოები

ტელეფონი
№ 000000—0004.

ჯოჯოხეთის ფედერატიულ კავშირის ყველა მთავარ ქალაქებში, სატარტაროზო ახალშენებში, საკუდიანოს ნავთსადგურებში.

საგანგებო წარმომადგენლობა მარსზე.

ამზადებს ადუღებულ კუპრს, ნიშადურს, (საყნოველსა და ამოსაცხებს), შამფურებს, შუბებს, სადგისებს, შოლტებს, ჭინჭრის თოკებს, ნაგავის საზიდებს. კუბოებს, დუქარდებს, ალვირებს, კურტნებს, ბურნუთს და სხვა და სხვა საამღროვო მედიკამენტებს.

ტრესტის მაღაზიებში მუდამ მოიპოვება, **როგორც ადგილობრივი, ისე ტარტაროზგარეთიდან ახლადმიღებული საჯოჯოხეთო ნაწარმოებნი.**

ტრესტი იღებს დაკვეთებს: კონტრ-რევოლიუციასთან სიბრძოლველ იარაღების დასამზადებლად. **პარტიობით მყიდველთ 100 %-ის ფასდაკლ-ებით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

3/122

ტარტაროზის რადიო

ბრძანება № 2.

სატარტაროზოს ყველა კუთხეში,
სადაც კი არის ბრიყვი, უხეში
და სადაც არის ჩვენი აგენტი.
(ზოგან მრავალი და ზოგან კენტი)

ისმინოს ყველამ:

ამიერიდან

ვინც უნდა იყოს არ მიერიდონ.
შეიპყრონ ყველგან მავნე სულები
და გამოგზავნონ გაბაწრულები,
რადიო სადგურს გამოატანონ.
(ამისთვის ხარჯი არ დაინანონ).

ახალი წელი მოგვადგა კარზე
მისი შეხვედრის არ ვართ უარზე.

საჭირო არის მრავალი ძღვენი.

მათი მოტანა ვალია თქვენი.

არ დაივიწყონ არც ერთი მტერი.
ეხლა აგზავნეთ ღვდელი და ბერი.
აკი ყოველთვის კრძალვით და რიდით
იმათ აქეთკენ ჩვენ გვიგზავნიდით.
აჰა, აღსრულდა თქვენი სურვილი
და მოიკალით ეხლა წყურვილი.

ჯოჯოხეთის მთავრობის
თავმჯდომარე: **ტარტაროზი**

საქმეთამმართველი: **ყიამეთი.**

დედანთან სწორია:
მდივანი: **ჭინჭარი.**

იუმორისტული დამატება გაზეთ „მუშა“-ს „ტარტაროზი“ დაურიგდება უფასოდ ყველა ხელის მომწერლებს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ჯ. მ. საყვარელიძე

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრ. ტრესტ. 1-ლი სტამბა, პლეხ. № 91. მთავარლიტ. № 2194. შეკ. № 1938. დაკ. 11500.